


დამტკიცებულია

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ
2016 წლის 27 აგვისტოს N2-183 ბრძანებით
(ცვლილება 2019 წლის 25 იანვრის N2-08
ბრძანება)
დირექტორი დ. ზეგიაშვილი



სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის
ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების,

წესრიგის დაცვის და

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, წესრიგის დაცვის და

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები	3
მუხლი 2. საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება.....	3
მუხლი 3. მოსწავლეების, პროფესიული სტუდენტების და სკოლის პერსონალის უფლება- მოვალეობები სახანძრო უსაფრთხოების სფეროში.....	4
მუხლი 4. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.....	4
მუხლი 5. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.....	5
მუხლი 6. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.....	6
მუხლი 7. მედიცინის მუშაკის უფლება - მოვალეობები.....	7
მუხლი 8 დასკვნითი დებულებანი	8

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის (შემდგომში - სკოლა) "ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, წესრიგის დაცვის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები" განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთათვის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს, პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესებსა და პროცედურებს.
2. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ; საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ; საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“; საქართველოს კანონი „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესები“ და სხვა სამართლებრივი აქტები.

მუხლი 2. საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება

1. სკოლაში საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების მიზნით იქმნება სკოლის საგანგებო შტაბი.
2. საგანგებო შტაბის საქმიანობას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი.
3. საგანგებო შტაბის შემადგენლობაში ასევე შედიან:
 - საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში;
 - საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში;
 - საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საკითხებში;
 - სამედიცინო, ქიმიური და რადიაციული რეაგირების ჯგუფის უფროსი;
 - სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი;
 - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი.

მუხლი 3. მოსწავლეების, პროფესიული სტუდენტების და სკოლის პერსონალის უფლება-მოვალეობები სახანძრო უსაფრთხოების სფეროში

1. მოსწავლეების, პროფესიული სტუდენტების და სკოლის პერსონალის უფლება აქვთ:
 - ხანძრის შემთხვევაში დაიცვან თავიანთი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება;
 - აინაზღაურონ მიყენებული ზარალი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - მიიღონ მონაწილეობა იმ ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენაში, რომელმაც ზიანი მიაყენა მათ ჯანმრთელობასა და ქონებას;
 - მიიღონ ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფებიდან;
 - მიიღონ მონაწილეობა სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

2. მოსწავლეები, პროფესიული სტუდენტები და სკოლის პერსონალი ვალდებული არიან:
 - დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;
 - ხანძრის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებს;
 - ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფების მისვლამდე შეძლებისდაგვარად მიიღონ ზომები ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, კერძო და სახელმწიფო ქონების გადასარჩენად და ხანძრის ჩასაქრობად;
 - დაეხმარონ ხანძრის ჩაქრობაში ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფებს.

მუხლი 4. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

1. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა.
2. სკოლა უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით და ცეცხლმაქრებით.
3. უზრუნველყოფილია მოსწავლეების, პროფესიული სტუდენტების და სკოლის პერსონალის ინფორმაციის მიწოდება ხანძრის დროს ქცევის წესების შესახებ.

მუხლი 5. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლა აფორმებს მომსახურების ხელშეკრულებას საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.
2. მანდატური სამსახურის ამოცანას წარმოადგენს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა
3. სკოლის მანდატურის უფლება-მოვალეობებია:
 - სკოლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი;
 - სკოლის ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება;
 - სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან/პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება;
 - მოსწავლეებისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის სამოქალაქო თავდაცვასთან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან და სისხლის სამართლის დანაშაულებთან და მათ შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება;
 - მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა მშობლებისა და სკოლის შესაბამისი უფლებამოსილი პირის ინფორმირება სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა ქცევის შესახებ;
 - საგანგებო სიტუაციებში (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა, სკოლაში მომუშავე და იქ მყოფი სხვა პირების დაცვა და მათი ევაკუაციისათვის ხელის შეწყობა;
 - დაპირისპირებულ მოსწავლეებს/ პროფესიულ სტუდენტებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და კონფლიქტის მოგვარება;
 - სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა მშობლებთან შეხვედრებში მონაწილეობა;
 - დამოუკიდებლად ან სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებაში

დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენა და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა;

- სკოლაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომლებიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენისა და ამოღების მიზნით პირადი გასინჯვის ჩატარება;
- მატერიალური საშუალებების დაუზიანებლად გამოყენების კონტროლი;
- მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის ურთიერთობის ჯანსაღად წარმართვის კონტროლი და უწყესრიგობის შემთხვევაში პოზიტიურ როლის შესრულება;
- დაწესებულებაში შემომსვლელთა მდგომარეობის კონტროლი. არ დაუშვან სკოლის ტერიტორიაზე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირების შემოსვლა;
- წესრიგის დაცვა დერეფნებში გაკვეთილების მსვლელობისას და დასვენების დროს;
- გაარკვიონ იმ პირების ვინაობა, რომლებიც შემოდიან დაწესებულების ტერიტორიაზე;
- სკოლის ტერიტორიაზე კონფლიქტის შემთხვევაში გამოიძახონ საპატრულო სამსახური, რათა სკოლაში არ დაზიანდნენ მოსწავლეები და თანამშრომლები.
- სკოლაში დამონტაჟებულია სამეთვალყიერო კამერები, რომელთა პარამეტრები შესაბამისობაშია დადგენილ ნორმებთან.

მუხლი 6. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

1. პირველადი სამედიცინო დახმარების ღონისძიებათა გატარებას სკოლაში უზრუნველყოფს სამედიცინო მუშაკი - ექიმი.
2. სკოლაში ფუნქციონირებს საჭირო მედიკამენტებით და სამედიცინო ინვენტარის (წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი და ა.შ) აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი,
3. სკოლის საკლასო ოთახებში, სასწავლო სახელოსნოში, ადმინისტრაციის ოთახებში მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულ პირთათვის თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ექიმის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

4. მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის შეუძლოდ ყოფნის თაობაზე სატელეფონო შეტყობინებას ახორციელებს საკლასო ოთახში მყოფი მასწავლებელი ან მისი დავალებით რომელიმე მოსწავლე/პროფესიული სტუდენტი.
5. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ექიმის მიერ გამოძახებული იქნება სასწარაფო სამედიცინო დახმარება და გატარდება შესაბამისი ზომები.

მუხლი 7. მედიცინის მუშაკის უფლება - მოვალეობები

1. მედიცინის მუშაკი ახორციელებს მედიკამენტების ვარგისიანობის (ვადა, შენახვისათვის დადგენილი წესების დაცვა და ა.შ) შემოწმებას
2. მედიცინის მუშაკი უფლებამოსილია სკოლის მოსთხოვოს ადმინისტრაციას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მედიკამენტები ან/და სამედიცინო ინვენტარის შე.
3. მედიცინის მუშაკი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიოს სკოლის მოსწავლეებს, პროფესიულ სტუდენტებს და თანამშრომლებს.
4. მედიცინის მუშაკი ინფორმაციას ქმედუუნარო პაციენტის შესახებ დროულად აწვდის კანონიერ წარმომადგენელს.
5. მედიცინის მუშაკი დალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, აღრიცხოს და მეთვალყურეობა გაუწიოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებსა და პროფესიულ სტუდენტებს.
6. მედიცინის მუშაკი ხელს უწყობს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური და სამედიცინო ნორმების დაცვას.
7. მედიცინის მუშაკი ფლობდეს ინფორმაციას კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები) და თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ.
8. მედიცინის მუშაკი უზრუნველყოს ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების ან მათი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უფასო სამედიცინო კონსულტაციების გაწევა სკოლის მოსწავლეებისთვის, პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის.
9. მედიცინის მუშაკი აწარმოოს აღრიცხვიანობის ჟურნალს მის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და გამოყენებული მედიკამენტების შესახებ.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

1. „პროფესიული სწავლების მარეგულირებელი წესებს“ ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. „პროფესიული სწავლების მარეგულირებელი წესებში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.